საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №58
2022 წლის 12 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, №2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე):

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ :

ა) 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე – 1.583 თეთრი/კუბ.მეტრი;

ბ) 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე – 1.338 თეთრი/კუბ.მეტრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**მაია მელიქიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**